საქართველოს კანონი

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 5.09.2003, მუხ. 195) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 9^2 პუნქტი:

„9^2. სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ლიცენზია – 700 ლარი.“.

2. მე-7 მუხლის:

ა) მე-13 პუნქტის:

ა.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, ტრანზიტის და ტექნიკური დახმარების ნებართვა – 30 ლარი;“;

ა.ბ) „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$“ ქვეპუნქტი:

„$გ^1$) ორმაგი დანიშნულების პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ნებართვა – 700 ლარი;“;

ბ) მე-13 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13^1 და 13^2 პუნქტები:

„13^1. სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ნებართვა – 700 ლარი.

13^2. სამხედრო პროდუქციაზე ტექნიკური დახმარების ნებართვა – სათანადო გარიგების ღირებულების შესაბამისი განაკვეთი:

ა) 500 ლარიდან 10 მლნ ლარამდე ღირებულების გარიგებისთვის – ღირებულების 0.5%;

ბ) 10 მლნ ლარზე მეტი ღირებულების გარიგებისთვის – ღირებულების 0.1%, მაგრამ არაუმეტეს 120 000 ლარისა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 15 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

19 თებერვალი 2020 წ.

N5723-IIს